

კომენტარები ცხრილებისადმი:

Comments to the Tables:

ზოგადი კომენტარები:

ცხრილებში მოყვანილი ფართობები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით, ხოლო პროცენტები – მეათედამდე სიზუსტით. ჩანაწერი “0” ან “0.0” ნიშნავს, რომ შესაბამისი მოვლენა არსებობს, მაგრამ მისი სიდიდე იმდენად მცირეა, რომ დამრგვალებისას ნულს იძლევა, ხოლო ჩანაწერი “-“ ნიშნავს, რომ შესაბამისი მოვლენა არ არსებობს. თუ ცხრილში რომელიმე რაიონი მთლიანად გამოტოვებულია, ეს ნიშნავს, რომ ამ რაიონში შესაბამისი მოვლენა არცერთი სვეტისათვის არ არსებობს.

თანდართულ კომპაქტურ დისკზე ნაბეჭდი ცხრილების უმრავლესობისათვის განთავსებულია სამი ვერსია: ა) – ყველა მეურნეობისათვის, რომელიც ემთხვევა ნაბეჭდ ცხრილს, ბ) – ოჯახური მეურნეობებისათვის და გ) – სასოფლო-სამეურნეო საწარმოებისათვის. თუ რომელიმე ცხრილს ბ) ან გ) ვერსია აკლია, ეს ნიშნავს, რომ მეურნეობათა შესაბამისი კატეგორიისათვის მოცემული მოვლენა არ არსებობს.

კომენტარები 1-ლი განყოფილებისადმი

ამ განყოფილებაში მოყვანილი შედეგები ეხება მდგომარეობას საანგარიშო მომენტისათვის (2004 წლის 1 ოქტომბერი), გარდა 1.9 ცხრილისა, რომლის შედეგები ასახავს საანგარიშო პერიოდის (2003 წლის 25 სექტემბრიდან 2004 წლის 24 სექტემბრამდე) განმავლობაში წარმოებული სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის გამოყენებას.

კომენტარები მე-2 განყოფილებისადმი

ამ განყოფილებაში მოყვანილი შედეგები ეხება მდგომარეობას საანგარიშო მომენტისათვის (2004 წლის 1 ოქტომბერი), გარდა 2.1.4 და 2.2.5-2.2.7 ცხრილებისა, რომლებშიც მოყვანილი მონაცემები ერთწლიანი კულტურების ნათესების, ნასენი და ღროებით დაუმუშავებელი მიწის შესახებ ასახავს მიწის გამოყენებას საანგარიშო პერიოდის (2003 წლის 25 სექტემბრიდან 2004 წლის 24 სექტემბრამდე) განმავლობაში.

ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ ცხრილებში მოყვანილი შედეგები მეურნეობების მიერ მიწის ფაქტიურ გამოყენებას ასახავს და არა მიწის კადასტრში ან რაიმე ოფიციალურ დოკუმენტებში დაფიქსირებულ ფართობებს. ასე მაგალითად:

- მეურნეობების სარგებლობაში არსებული მიწა არ მოიცავს მიწას, რომელიც პრივატიზაციის პერიოდში შინამეურნეობებს დაურიგდათ და მას შემდეგ ის საერთოდ არ გამოყენებულა სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის, სათიბად ან საძოვრადაც კი (ასეთი შემთხვევები საკმაოდ გავრცელებულია);

General comments:

The areas given in the tables are rounded to within 1 while percentages to within 0.1. The entries “0” and “0.0” mean that the corresponding value is positive but so small that after rounding it amounts to zero. The entry “-” means that the corresponding phenomenon does not exist at all. If a district is omitted from a table, this means that in that district the corresponding phenomenon does not exist for every column.

The attached CD contains three versions for most of tables: a) for all holdings, coinciding with the printed version, b) for family holdings, and c) for agricultural enterprises. If version b) or c) is absent for a table, this means that the given phenomenon does not exist for the corresponding category of holdings.

Comments to Section 1

The results of this section concern the situation at the reference moment (October 1 2004) except Table 1.9, which reflects the use of holding’s production during the reference period (from 25 September 2003 to 24 September 2004).

Comments to Section 2

The results of this section concern the situation at the reference moment (October 1 2004) except Tables 2.1.4 and 2.2.5-2.2.7 whose data on land under temporary crops, fallow land and temporarily uncultivated land reflect land use during the reference period (from 25 September 2003 to 24 September 2004).

It should be noted that the results of the tables reflect the actual use of land, not the areas recorded in land cadastre or other official documents. For instance:

- Land operated by a holding does not include the land which was given to households during privatization process but not used after that for agricultural production, even as permanent pastures or meadows (such cases are quite common);

- Often during the privatization process the land given or rented to a holding is recorded as arable land or land under permanent crops but due to non-cultivation, cutting down or scarcity of trees it is actually

- ხშირად პრევატიზაციისას მეურნეობის საკუთრებაში გადაცემული ან მეურნეობის მიერ იჯარით აღებული მიწა ფორმალურად დაფიქსირებულია, როგორც სახნავი ან მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული, მაგრამ დაუმუშავებლობის, გაჩეხვის ან უკიდურესი სიმეჩხრის გამო იგი ფაქტიურად გამოიყენება როგორც სათიბი ან საძოვარი, ან პირიქით, მიწა მეურნეს საკუთრებაში გადაეცა ან იჯარით გაიცა როგორც სათიბი ან საძოვარი, მაგრამ შემდეგ მოიხნა ან იქ მრავალწლიანი ნარგავები გაშენდა. ყოველ ასეთ შემთხვევაში აღწერისას მიწა აღირიცხა მისი ფაქტიური გამოყენების მიხედვით.

კომენტარები მე-3 განყოფილებისადმი

ამ განყოფილებაში მოყვანილი შედეგები ეხება მიწის გამოყენებას საანგარიშო პერიოდის (2003 წლის 25 სექტემბრიდან 2004 წლის 24 სექტემბრამდე) განმავლობაში.

კონკრეტული ერთწლიანი კულტურის ნათესი ფართობი განისაზღვრება საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მეურნეობის მიწაზე ამ კულტურით დათესილი (მრავალწლიანი ბალახების შემთხვევაში არაუმეტეს ბოლო 5 წლის განმავლობაში დაკავებული) ფართობების ჯამი, თუნდაც ეს დათესვა მეორედ ან მეტჯერ იყოს მოხდენილი. გარდა ამისა, აღწერის კითხვარში, და შესაბამისად ამ განყოფილების ცხრილებში მოყვანილი ერთწლიანი კულტურების ჩამონათვალი არ მოიცავს ყველა კულტურას (მაგალითად ქერს, ჭვავს, პარკონებს, თამბაქოს). ამდენად 3.1.1 ცხრილში დაფიქსირებული ერთწლიანი კულტურების ნათესი ფართობების ჯამი შეიძლება ნაკლები ან მეტიც კი (იმ შემთხვევაში, თუ ერთსა და იმავე ფართობზე ორჯერ ან მეტჯერ დათესვის ეფექტი გადაფარავს კულტურების არასრული მოცვის ეფექტს) იყოს 2.1.4 ცხრილში მოყვანილი ერთწლიანი კულტურების ნათესების ფართობზე, რომელიც გამოხატავს სახნავი მიწის იმ ნაწილს, რომელზედაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ერთხელ მაინც დაითესა რაიმე ერთწლიანი კულტურა.

კომენტარები მე-4 – მე-6 განყოფილებებისადმი

ამ განყოფილებებში მოყვანილი ყველა ცხრილი ასახავს მდგომარეობას საანგარიშო მომენტისათვის (2004 წლის 1 ოქტომბერი).

ცხრილებში მოყვანილი ხეხილის და ციტრუსის სახეობებისადმი, აგრეთვე ვაზის ჯიშებისადმი მინიჭებული ფართობები მიღებულია არა უშუალოდ გამოკითხვის, არამედ შეფასების შედეგად.

სახელდობრ, თითოეული მეურნეობისათვის:

ა) აღწერის კითხვარის (იხ. დანართი) მე-7 ცხრილის მე-15 სტრიქონში მითითებული ხეხილის ბაღების ფართობი გადანაწილდა მე-8 ცხრილის 1-ლ – მე-17 სტრიქონებში ჩამოთვლილ სახეობებზე

used as a permanent meadow or pasture; or in contrary, the land was given or rented to a holder as a permanent pasture or meadow but later it has been ploughed or an orchard was laid out on it. In all such cases the actual use of land was recorded.

Comments to Section 3

The results of this section concern land use during the reference period (from 25 September 2003 to 24 September 2004).

Sown area of a specific temporary crop is determined as the sum of areas sown under that crop during the reference period (in case of perennial grasses occupied during at most last 5 years) even if that was a second or more times sowing on that area. Besides, the list of temporary crops in the census questionnaire, and respectively in the tables of this section, is incomplete (e.g. it does not include barley, rye, pulses, tobacco). Therefore the sum of the areas of temporary crops given in Table 3.1.1 may be less than the area under temporary crops indicated in Table 2.1.4 or even may exceed it (in case the effect of multiple sowing overrides the effect of the incomplete list of crops). The latter figure indicates the area which has been occupied at least once by a temporary crop during the reference period.

Comments to Sections 4 - 6

In these sections all tables reflect the situation at the reference moment (October 1 2004).

The areas attributed to specific fruit or citrus types and vine species are obtained not by direct data collection but by estimation.

Namely, for each holding:

a) The area of orchards indicated in the 15th row of Table 7 of the census questionnaire (see Annex) has been distributed among the fruit types listed in the rows from 1 to 17 of Table 8 proportionally to the numbers of trees indicated in the first column of the same table and the standard area occupied by one tree.

b) The area of vineyards indicated in the 17th row of Table 7 has been distributed among the vine species indicated in Table 9 proportionally to the numbers of trees indicated in the second column of the same table.

g) The area of citrus plantations indicated in the 20th row of Table 7 has been distributed among the citrus types listed in the rows from 18 to 21 of Table 8 proportionally to the numbers of trees indicated in the first

ამავე ცხრილის პირველ სვეტში მითითებული ძირების რაოდენობისა და ერთი ძირის შესაბამისი ფართობის ნორმის პროპორციულად.

ბ) მე-7 ცხრილის მე-17 სტრიქონში მითითებული ვენახების ფართობი გადანაწილდა მე-9 ცხრილში მითითებულ ჯიშებზე ამავე ცხრილის მეორე სვეტში მითითებული ძირების რაოდენობის პროპორციულად.

გ) მე-7 ცხრილის მე-20 სტრიქონში მითითებული ციტრუსის პლანტაციების ფართობი გადანაწილდა მე-8 ცხრილის მე-18 – 21-ე სტრიქონებში ჩამოთვლილ სახეობებზე ამავე ცხრილის პირველ სვეტში მითითებული ძირების რაოდენობისა და ერთ ძირის შესაბამისი ფართობის ნორმის პროპორციულად.

დ) ხილის ან ციტრუსის თითოეული სახეობის და ვაზის თითოეული ჯიშის ფართობი გადანაწილდა მსხმოიარე და არამსხმოიარე ასაკის ძირებზე მათი რაოდენობის პროპორციულად.

შედეგად, მაგალითად, ვაშლის ბაღების ფართობში შედის არა მხოლოდ ვაშლის ერთგვაროვანი ბაღების ფართობი, არამედ შერეულ ბაღებში ვაშლის წილად მოსული ფართობიც. იგივე ეხება ხეხილის და ციტრუსის სხვა სახეობების ბაღების და ყურძნის ჯიშების ვენახების ფართობებს.

კომენტარები მე-7 განყოფილებისადმი

ამ განყოფილებაში მოყვანილი ყველა ცხრილი ასახავს მდგომარეობას საანგარიშო მომენტისათვის (2004 წლის 1 ოქტომბერი).

კომენტარები მე-8 განყოფილებისადმი

8.1 ცხრილი ასახავს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის გამოყენებას საანგარიშო პერიოდის (2003 წლის 25 სექტემბრიდან 2004 წლის 24 სექტემბრამდე) განმავლობაში, ხოლო 8.2 ცხრილი – მდგომარეობას საანგარიშო მომენტისათვის (2004 წლის 1 ოქტომბერი).

კომენტარები მე-9 განყოფილებისადმი

9.1 და 9.2 ცხრილები ასახავს მდგომარეობას საანგარიშო მომენტისათვის (2004 წლის 1 ოქტომბერი). ხოლო 9.3 ცხრილი – მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოებას საანგარიშო პერიოდის (2003 წლის 25 სექტემბრიდან 2004 წლის 24 სექტემბრამდე) განმავლობაში.

column of the same table and the standard area occupied by one tree.

d) The area of a specific fruit or citrus type or a vine species has been distributed among the trees of producing and non-producing age proportionally to their numbers.

As a result, the area of, say, apple orchards contain not only the area of homogenous apple orchards but also the part of the area of mixed orchards that may be attributed to apple trees in them. The same is true for other types of fruit and citrus and species of vine.

Comments to Section 7

All tables of this section reflect the situation at the reference moment (1 October 2004).

Comments to Section 8

Table 8.1 reflects the use of agricultural machinery during the reference period (from 25 September 2003 to 24 September 2004) while Table 8.2 the situation at the reference moment (1 October 2004).

Comments to Section 9

Tables 9.1 and 9.2 reflect the situation at the reference moment (1 October 2004) while Table 9.3 reflects food security of the population during the reference period (from 25 September 2003 to 24 September 2004).